ხელშეკრულება

2017/159

ქ. თბილისი

6 09 2017 წ.

ჩვენ მხარეები, შპს ,,ზახარ", მისი დირექტორის ზაქარია მამულაშვილის სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ერთის მხრივ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პაპუნა შენგელაიას სახით, (შემდგომში ,,შემსყიდველი") მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „ს'' ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი" ვალდებულებას კისრულობს გადასცეს საკუთრებაში „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, კერძოდ

ფოტოგრაფიული მოწყობილობები (CPV 38650000).

N	დასახელება	რაო–ბა	ერთ. ღირებულება	საერთო ღირებულება
1	შტატივი Manfrotto 290 XTRA KIT BALL Head	1	324.00	324.00
2	მონოპოდი Manfrotto 290 ALU Monopod	1	90.00	90.00

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 414.00 (ოთხასთოტხმეტი) ლარს.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

2.1.1 საქონლის მიღებიდან და შესაბამისი საბუთების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში სრულიად აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება.

2.2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

2.2.1 გადასცეს ,,შემსყიდველს" უნაკლო საქონელი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილებისთვის მიმწოდებელს/შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებლების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 2%-ს.

3.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს გამყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებიდან.

3.3 იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრამდე ან/და მხარეთა მიერ მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულება.

5.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

6. ფორსმაჟორი

6.1 არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით;

7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს;

8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. #7 ს/კ 204469280 სახაზინო სამსახურის კოდი TRESGE22	შპს ,,ზახარ'' მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდკის # 7 ს/კ 202061053 სს ,,საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE60BG 0000 0001 8272 2801
პაპუნა [illegible]	ზაქარია [illegible]